



დებრიონარი

№ 54

გამოდის კვირაში სამჯერ

30 ივნისი 1944 წ.

გერმანიის უმაღლეს სარდლობის ცნობები

უმაღლესი აკანალური და წინააღმდეგობის მრავალ წიკტებში
გერმანელთა განაგრძობენ გააფთხებულ ბრძოლას

ტილის რაიონში სწავლობენ მხედრობის და ტანკთა მკაცრი ბრძოლა

ინფანტრიაში წვიმის „V — 1“-ს უზრუნველყოფა

საზღვაოს მანქანის იმარბეობა გერმანიის, მოგილოვის და ორსას
რაიონებში

ფიურერის მთავარი ბანაკი.

27 ივნისი.

გერმანიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

გუშინ მთელი დღე ბრძოლა გრძელდებოდა წარმოუდგენელი გააფთხებით შერბურგის ერთი მეორისგან დაშორებულ წერტებს შუა. მხოლოდ საღამოს, მტერმა ხელჩართულ ბრძოლების შემდეგ, რომლის დროს მან უდიდესი მსხვერპლი გაიღო, შესძლო ქალაქის დიდ ნაწილის ხელში ჩაგდება. წინა აღმდეგობის მრავალ წერტებში ჩვენი მებრძოლნი სამაგალითო ვაჟკაცობით ისევ განაგრძობენ ბრძოლას რიცხვით მეტი მტრის წინააღმდეგ, ჩვენი ფლოტის და ავიაციის დახმარებით. სანაპირო ბატარეების ჯარისკაცები და ბრძოლაში ჩამბულ გემთა პირად შემადგენლობის გადმოსხმული ნაწილი, კონტრ აღმირალ ჰენეკეს მეთაურობით და შერბურგის ნავთსადგურის უფროსის, კაპიტან ვიტტის უშუალო ხელმძღვანელობით დიდ დახმარებას უწევდნენ შერბურგის გმირ დამცველებს. სანაპირო ბატარეამ „იორკ-მა“ შერბურგის წინ ჩასძირა ერთი მსუბუქი კრესერი.

ტილის რაიონში გუშინ მტერმა გააფართოვა იერიშების ფრონტის სიგრძე და აქ მთელი დღე სწარმოებდა მკაცრი ბრძოლა ორთავე მხრის ქვეითა ნაწილების და ტანკთა შორის. ჩვენი კონტრ - იერიშების გამო, მტერს მცირე ტერიტორიული მიღწევა აქვს.

ორნის შესართავში ჩვენმა ბატარეებმა აიძულეს მტრის მრავალი სატრანსპორტო გემი, უკან გაბრუნებულიყვნენ. უკანასკნელ ხანებში მტრის მიერ გადმოსხმული პარაშუტელთა დიდი ნაწილი, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ საფრანგეთის ტერიტორიაზე საბოტაჟის მოხდენა, — ბრძოლით განადგურებული იქმნა. ლონდონის რაიონი ისევ იარალ „V — 1“-ის ცეცხლის ქვეშაა.

იტალიაში მტერს, მიუხედავად დიდძალი არტილერიისა და ტანკთა დახმარებისა, მცირე მიღწევა აქვს. საერთოდ, იტალიის მთელს ფრონტზე მიუხედავად სიციხისა, ჩვენი ჯარები თავდაცვითი მიღწევებით იბრძვიან.

აღმოსავლეთ ფრონტის ცენტრალურ სექტორში, ბობრუსისკის, მაგილოვის და ორსას რაიონებში ჩვენი მამაცი დი-

ვიზიები განაგრძობენ გააფთხებულ, თავდაცვითი ბრძოლებს საბჭოების წინააღმდეგ, რომლებსაც შეუწყვეტილ იერიშები მოაქვთ ჩვენს პოზიციებზე. პოლოტკის აღმოსავლეთით მათი იერიშები უშედეგოდ დარჩნენ. ასკოვის სამხრეთ - აღმოსავლეთით მდებარე რაიონში წინა დღით შემოჭრილი მტერი ჩვენი კონტრ - იერიშით გადარეკილი იქმნა.

ფინეთის ფრონტზე გერმანულმა ავიაციამ გაანადგურა საბჭოთა 23 ტანკი. გასულ ღამეს ჩვენი ბომბდამშენები დიდი წარმატებით თავს დაესხნენ ბრიანსკს და კრეინსს. გუშინ დილით, ამერიკელ ბომბდამშენთა ერთი შენაერთი თავს დაესხა ვენის რაიონს. გერმანიის და უნგრეთის საჰაერო თავდაცვის ძალებმა ჩამოაგდეს მტრის 54 თვითმფრინავი, აქედან 46 ოთხმოტორიანია.

იარაღი „V - 1“

ბერლინის სამხედრო წრეები ამერიიდან ახალ გერმანულ იარაღს უწოდებენ V - 1 და მას შემდეგნაირად ხსნიან. ასო V ნიშნავს შემოკლებულს გერმანულ სიტყვას „ვერგელტუნგ“-ს (რეპრესიას) და ციფრი 1 გულისხმობს, რომ მომავალში ინგლისის წინააღმდეგ ნახმარი იქნება ამგვარ იარაღის მთელი სერია. სამხედრო წრეებში იმ აზრს გამოხატავენ, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია იარაღი „V - 2“-ს ინტერვენცია.

მილიციის მოხალისეთა რიგებში

თანახმად დარნანის მოწოდებისა, ფრანგების მოხალისეთა მილიციის რიგებში მარტო დასავლეთ საფრანგეთიდან ჩაეწერა 14.000 კაცი, სამხრეთ საფრანგეთში მოხალისეთა ჩაწერა წარმატებით მიმდინარეობს.

გადაწყვეტილია შეიქმნას საფრანგეთის მილიციის საქმეთა სპეციალური პოლიტიკური კომისარიატი.

გერმანიის საგარეო

საქმეთა მინისტრის ბ - ნი ფონ - რიბენტროპის მოგზაურობა ფინლანდიაში

27 ივნისის საღამოს ბერლინში გამოქვეყნდა შემდეგი ცნობა:

ბ - ნი ფონ - რიბენტროპი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ესტუმრა ფინეთის მთავრობას. მისი იქ ყოფნისას განხილული იქმნა ყველა ის საკითხები, რომლებიც ეხებიან გერმანიის და ფინეთის საერთო ბრძოლას და სახელდობრ, ფინეთის მთავრობის მიერ გამოთქმულ სურვილს, იარაღით დახმარების მიღების შესახებ. გერმანიის მთავრობა მზადაა დააკმაყოფილოს ფინეთის თხოვნა. ერთი მხრივ ბ - ნი ფონ - რიბენტროპის და მეორეს მხრივ ბ - ნი რუტის, ფინეთის პრეზიდენტის და ბ - ნი რამზეს, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შორის წარმოებულ მოლაპარაკება ატარებდა ამ ორ ერთა შორის ტრადიციულ მეგობრობას და საერთო მიზნისათვის ბრძოლაში მეგობრობის ხასიათს. გერმანიისა და ფინეთის მთავრობებს შორის დამყარდა სრული თანხმობა ყველა მათთვის საინტერესო საკითხებზე.

დე გოლი ახდენს ნოკრანდიის მოსახლეობის მოგილიზაციას

ლონდონში გაქვეულმა ფრანგმა ჟურნალისტმა, პიერ ჟანერემ განაცხადა, რომ ალჟირის კომიტეტმა გაგზავნა ერთი მისი სამსახურში მყოფი პოლკოვნიკი ნორმანდიის ხიდის თავის რაიონში იქ, მოსახლეობის ჯარში გაწვევის მოსაწყობად.

6

როდესაც მონგოლებმა საქართველო საბოლოოდ დაიბურეს (1236 — 1240), კვლავ შეიქმნა პირობები საქართველოს დაშლისა. რუსუდანი გარდაცვალების შემდეგ საქართველო დარჩა უმეფოდ. ტახტის ნამდვილი მემკვიდრე, დავით გიორგი ლაშასძე ტყვეობაში იყო სულთან ყაისდინთან. დავითი რუსუდანის ძე იყო ყაენის კარზედ, ყარაყორუმში და მისგანაც არაფერი ისმოდა. ამ პერიოდში მთელი საქართველო დანაწილებული იყო მთავრების შორის. პერეთ-კახეთი ტფილისით შამახიმდე **ეგარსლან ბაკურციხელს** ეკავა. **შანშე მსახურო უხუცესს** თავისი და ავაგ ამირსპასალარის საბრძანებელი. ვარამ გაგელს სომხითი. გრიგოლ სურამელს ქართლი. თორელ გამრეკელს ჯავახეთი და მამცხე აზრუშამდე. ცოტნე დადიანს და რაჭის ერისთავს ეჭირათ მთელი დასავლეთ საქართველო. ასე დანაწილეს საქართველო მონგოლებმა მის მთავართა შორის. მაგრამ იმავე დროს მონგოლების მიერვე მთელ საქართველოს მთავარ ზედამხედველად დანიშნული იყო ეგარსლან ბაკურციხელი. ხოლო შიგნით, ქართველების მხრივ ეს დანაწილება იყო უფრო ადმინისტრაციული. სინამდვილეში ყველა მთავრები მეტად მჭიდროდ შეკავშირებული მოქმედებდნენ. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს კოხტის თავის შეთქმულება.

მაშ ამ ფაქტმა ვერ წაშალა ქართველი ერში ერთობის მტკიცე იდეა და ბოლოს ამავე ძლიერი ნებისყოფით, მათ გამარჯვებს დავით გიორგის ძის მოწვევითა და გამეფებით.

ამ საქმეს ცოტა ხელს უშლიდა დავით რუსუდანის ძე. ამიტომ მონგოლები ჩაერივნენ ამ საქმეში და უკანასკნელი დასავლეთ საქართველოში გაამეფეს, ხოლო პირველი აღმოსავლეთში. მაგრამ ვერც ამ მოვლენამ შესძლო საქართველოს ორად გაყოფა დაეკანონებინა და სინამდვილეში საქართველო დარჩა ერთიანი სახელმწიფო, სადაც მეფობდა ორი მეფე. ეს პერიოდი იწოდება ზორ დავითის მეფობის ხანად. საბედნიეროდ მათ შორის ძმური განწყობილება იყო და ერთად გა-

საქართველოს გაერთიანების ისტორია

ნაგებდნენ მთელ საქართველოს. ჩვენს დრომდე შენახულია საბუთები, შემოწმებული ორივე დავითის მიერ ერთად.

როდესაც მონგოლებმა დაიწყეს ომები ეგვიპტესთან, იქ მონაწილეობას იღებდა დიდ ძალი ქართველობა. ამ მოვლენამ დიდად დააზიანა ქართველი მოსახლეობა. ადგილობრივ შექმნა გაჭირვება და ომშიც დიდ ძალი ახალგაზრდობა იხოცებოდა. ამან გამოიწვია შიგნით ზოგიერთი უთანხმოებანი. ამავე დროს დიმიტრი თავდადებულის სიკვდილით დასჯის შემდეგ მონგოლები უნდოთ ვალით უქცებოდნენ ქართველობას. და მათი მთლიანობაც არ აინტერესებდათ. ამიტომ ამ პერიოდში ერთნაირად დაკანონდა საქართველოს ორად გაყოფა. თვით აღმოსავლეთ საქართველოშიც თავი იჩინა განდგომილებამ. განსაკუთრებით კი დამორჩილებულ უცხო ტომთა შორის. მაგრამ ასეთი დანაწილება შორს ვერ წავიდა და როგორც კი აღმოსავლეთ საქართველოში ტახტზედ ავიდა გიორგი V (ბრწყინვალე), მესამე შვილი დიმიტრი თავდადებულისა, თავისი გამჭირახი გონებით მალე მოიპოვა პატივი და სიყვარული მთელი ქართველობისა. მან პირველად დაიმორჩილა გამდგარი თემები. დაიმორჩილა მთიელები და მათ სპეციალური კანონმდებლობაც შეუქმნა. მას ამ საქმეში გარეშე პირობებიც უწყობდნენ ხელს. მონგოლები ეცემოდნენ და ის ნელ-ნელა აძევებდა მათ საქართველოდან. მან თითქმის გასწმიდა საქართველო ყველა უცხო თესლისაგან.

ჯერი დადგა დასავლეთ საქართველოს შემოერთებისა. 1327 წელს გარდაიცვალა მეფე კოსტანტინე, დავით ნარანის ძე და აქაც დიდი ანარქია სუფევდა. ასეთ პირობებში გიორგიმ წინადადება მისცა იმერლებს დამორჩილებოდნენ. იმერეთის დიდებულები დამორჩილდნენ მას. ასევე დასავლეთის ყველა ერისთავები. გიორგი იკავებს მთელ დასავლეთ

საქართველოს მშვიდობიანად და ყველგან ახალ ადმინისტრაციას ჩამოაყალიბებს.

ამგვარად მეფე გიორგი კიდევ ერთხელ აღადგენს საქართველოს მთლიანობას. ქართველმა ერმა ის თავის დროსვე „ბრწყინვალის“ სახელით დააჯილდოვა, რადგან მემკვიდრის სამართლიანი სიტყვებით: „ვინათგან იყო ივერია დაფანტული, დაყოფილი, ამან სიბრძნე ვონიერებითა და ძლიერებითა თვისითა, კვალად შემოიკრიბა და დაიმონა ვითარცა აღმაშენებელმან“.

7

ქართველებმა ასე სოლიდარობითა და მუყაითობით დაიცვეს სამშობლო და ის სრულ განადგურებას გადაარჩინეს. ეროვნული მთლიანობის იდეა, რომელიც თამარის დროს განმტკიცდა საქართველოში, ამ დროს არ გამქარალა. პირიქით მან თავისი ნაყოფი გამოიღო და საქართველო ამან შეინახა. ვის არ განაცვიფრებს დღეს ის მაღალი მამულიშვილური გრძნობები, რაც მაშინდელ ქართველობას ასულდგმულებდა!

ხან შემზარავი, ხან მომხიბლავი რა კარგია წარმოდგენა შემდეგი, გმირული შარავანდედით მოსილი სურათებისა: კოხტის თავის შეთქმულება, ბოლომდე ზღაპრული საიდუმლოებით მოცული: ბერის დიდი პოეტის რუსთაველის ხელმძღვანელობით (ერთი მკვლევარის აზრით). სამშობლოს თავისუფლებისათვის წამებულთა, სიციხეში გაშიშვლებულ ქართველ მამულიშვილთა წინაშე, ცოტნე დადიანის ცხენიდან გადმოხტომა და თანამომეთა ჭირის გაზიარება. უფრო ადრე გმირული სიკვდილი ორი დიდი რაინდის, ივანე და შალვა ახალციხელებისა. გმირული დაცემა მემნა ჯაყელის ტფილისის კედლებთან. სარგის ჯაყელის სამკვედრო სასიცოცხლო ბრძოლა ბორჯომის ხეობაში. დემეტრე მეფის ურდოს წასვლა სასიკვდილოდ და მისი სიტყვები: — მე დავსდებ თავსა ჩემსა ერისა ჩემისათვის და არ მოვიშლი ურდოსა წას-

ვლას. ბაგრატ დე გიორგიძის მეფის ქედმოუხრებლობა და ლიერესი თემურლენგის წინაშე და სხვა მრავალი გმირული ეპიზოდები, რომელნიც ქართველი ერის ისტორიის ამ პერიოდს ამკობენ, ჩვენს დროს გადმოეცა ვით მომჯადობელი ზღაპარი. აი, ის ძლიერი სულიერი სათავე, რომელიც მაშინდელ ქართველთ ერთობისა და სიყვარულის იდეას უსაღკლდევებდა და მომავალი გამარჯვების იმედს უანდერძებდა.

8

მონგოლთა ბატონობა თავდება თემურლენგის სიკვდილით. მაგრამ მათი ბატონობის შემდეგ მთელი მცირე აზია განთავისუფლდა. ამ დროს წამოიჭრა იქ ორი იმპერია. ერთი იყო ახალი, ოსმანთა და მეორე განახლებული სპარსეთი. ამ ორი იმპერიის მეტოქეობამ საბოლოოდ დააქუცმაცა საქართველოც.

მე-15-ე საუკ. დასაწყისში მეფე ალექსანდრემ კიდევ ერთხელ სცადა საქართველოს აღდგენა და მთლიანობის შენახვა. მან პირველად, მსგავსად დავით აღმაშენებლისა, სამშობლო გასწმინდა საბოლოოდ გარეშე მტერთაგან. შემდეგ შემოიკრიბა მთელი საქართველო. თავისი სკოპტრის ქვეშ დააყენა. და მტრის მიერ დატაცებული ადგილებიც დაიბრუნა. ხოლო ყველაზე დიდი დამსახურება მას მიუძღვის შინაურ აღმშენებლობაში, რასაც აქ ვერ შევხებით. ამავე დროს იწყება ბრძოლა საქართველოს ეკლესიის დაშლისა. აქაც დიდ როლს თამაშობენ გარეშე ფაქტორები. ქართველობა სასტიკად იცავს მთლიანობას და ებრძვის გარეშე გაყვლებს. მაგრამ ეს ფაქტორები ისე ძლიერი იყვენ, რომ საბოლოოდ მთლიანობის იდეა მარცხდება.

საქართველოს დაშლის პროცესი დაიწყო მონღოლების დროს. ამას შემდეგ ხელი შეუწყეს წინა აზიაში განვითარებულმა პოლიტიკურმა ვითარებებმა.

ფაქტიური განაპირობების პოლიტიკა იწყება მე-15-ე საუკუნის შუა წლებში. რათგან ამ დროს ოსმალეთი და სპარსეთი დიდად აწუხებდნენ ქართველობას. საქართველო მეტად მძიმე

პირობებში ჩაეარდა და შემკავშირებელი ძალებიც ნელ-ნელა შესუსტდნ და გაძლიერდა განკერძოების პოლიტიკა.

ჯერ კიდევ თემურ ლენგის დროს ქართველობა სასოწარკვეთილებამდე იყო მისული. კოსტანტინეპოლის დაბრუნებამ საქართველო მოსწყვიტა დასავლეთს და აღმოსავლეთსაც. დაეცა საქართველოს ეკონომიური სიძლიერე, დაეცა მისი ვაჭრობა და ალებ - მიცემობა. დაეცა კულტურულადაც. ერი დარჩა განმარტებული და ის მოიცვა უიმედობამ და სასოწარკვეთილებამ. საქართველოს მდგომარეობაში მყოფი ერის ფსიქოლოგიას ასე ახასიათებს ივ. ჯავახიშვილი: „უიმედო სიცოცხლე თუ მთლად შეუძლებელი არა, უხალისო ცხოველურ არსებობად იქცევა ხოლმე. ხოლო რამდენადაც ძლიერია იმედი, იმდენადვე უფრო ძლიერია ხოლმე ამ იმედების გაცრუებით გამოწვეული სასოწარკვეთილება. დიდი, სტიქიური მსგავსი უბედურების, ან ძლიერი მტრისაგან დამარცხების შემდგომ ხსნისა და გამოსავლის უიმედობის გრძნობა და შიში ზოგჯერ დამარცხებული, გაჭირვებაში ჩავარდნილი ერის ნების ყოფას სტეხს, აკნინებს და ზნეობრივად აძაბუნებს ხოლმე.

ასეთ მდგომარეობაში ადამიანის არსებობაში ეგოისტური გრძნობა და ცხოველური თავდაცვის ალლო იდეებებს და მაშინ პირად კეთილ დღეობაზედ მზრუნველობა საერთოზე სძლევს ხოლმე და სახელმწიფოებრიობა და საზოგადო ინტერესი კერძოსა და პირადულს სულისკვეთებას უთმობს ბატონობას. სახელმწიფოს ზემადგენელი ერთეული, თვით კერძო პიროვნებაც, უპირველესად თავისი თავის, თავისი თემის, თავისი კუთხის გადარჩენაზე იწყებს ფიქრს და საერთო კეთილდღეობაზე მზრუნველობის მოვალეობის თავიდან მოცილებას სცდილობს. როგორც დაბალი ფიზიკური სხეული განსაცდელის დროს თავდაცვის მიზნით იკუმშება და თავის ქერქში ძვრება ხოლმე, ისევე სოციალურ სხეულს ემართება და რაკი სახელმწიფოსი და სხვა ძალის უკვე იმედგადაწყვეტილება ხოლმე გა-

პრესის მიმოხილვა

მსაწავრი გაზეთები გაერმანიის ტაქტიკის შესახებ

თავის მოქმედებით, ვერმანიის სანაპირო ჯარების მთავარ-სარდალმა რუნდშტეტმა შეანე-ლა ინგ. - ამერიკელების სამოქმედო გეგმა 2—3 კვირით, არ შესწირა ამას არც ერთი ზედმეტი ჯარის კაცი. და არც ერთი ზედმეტი ტანკი.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ინგლის - ამერიკელების სამხედრო პრესის ხრონიკაში საგრძნობლად შემცირებულა ცნობები.

სიმშვიდე, ვერმანიის და მისი სამხედრო ხელმძღვანელების დესანტის გადმოსხმამდე და მის შემდეგ პირდაპირ გასაკვირველია, სწერს შემდეგ გაზეთი: ინგლის - ამერიკელებს ყველგან აქვთ დიდალი დანაკარგი, იმ დროს როდესაც რუნ-

მეფეებელი, ასეთ ბრძოლებში შეიძლება სახელმწიფოებრიობის დაქვეითებისა და დაშლის პროცესიც დაიწყოს“.

მე-XV-ე ს. დასაწყისში საქართველო სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. ეკონომიურად და პოლიტიკურად ეცემა. სუსტდება მეფის ხელისუფლება და იწყება ცალკე პროვინციათა განაპირება. ცხადია მაშინაც მრავალნი იყვნენ ერის მთლიანობისათვის მებრძოლნი, მაგრამ უღმობელი პირობები დაუძლეველი აღმოჩნდნ და კაი ხნით აღრე დაწყებული, ამ დროს საქართველოს დაშლა და დაქუცმაცება ფაქტად იქცა.

საქართველო დაიშალა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. აქედან უმთავრეს ძალას წარმოადგენდნ: ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები და მეოთხე სამცხის სამთავრო. დასავლეთ საქართველოში აგრეთვე იყვნენ: სამეგრელოს, გურიის, სვანეთის და აფხაზეთის სამთავროები. ე. ი. დაახლოებით საქართველომ მიიღო ის სახე რაც მას ჰქონდა პირველ გაერთიანების წინ, არაბთა ბატონობის ხანაში.

ალ. მანველიშვილი

შტეტის მხრივ დაცულია ადამიანთა დიდალი ეკონომია.

უდავოა, რომ დღიდან დესანტის გადმოსხმისა ვერმანიის პრესტიჟი კიდევ მეტად გაიზარდა.

პრესა თავდასხმის შესახებ

ინგლისელი პოლკოვნიკი ნორმანდიის ბრძოლების შესახებ

არც აფრიკის უდაბნოებში, არც იტალიაში მე არ გადამოტანია ისეთი მძიმე ბრძოლები, როგორც უკანასკნელ დღეებში გადავიტანე ნორმანდიაში, სწერს ინგლისელი პოლკოვნიკი ლესნარდი პეინი, „დიელი ტელეგრაფის“ სამხედრო კორესპონდენტი. პოლკოვნიკი ჰაინი აღწერს სამხედრო ეპიზოდებს: ათი ინგლისური ტანკი ებრძოდა ერთ ვერმანულ ტანკს, ვერმანული ტანკი ისე იყო შენიღბული, რომ ინგლისელმა ტანკებმა ვერ შენიშნეს და ამით ინგლისელებს მიეცათ საშუალება გასულიყვნენ. ვერმანულმა ტანკმა ამავე დროს ზურგიდან გაუხსნა ცეცხლი ინგლისურ ტანკებს თვითმფრტვეებიდან. ფეხოსანი ჯარის კაცები, რომელნიც მიდიოდნ ამ ტანკებით, მთლიანად განადგურებული იქმნენ ლევიონის შტაბით. ვერმანიის ტანკი ისე სწრაფად და ელვისებურად მოქმედებდა, რომ ინგლისელებმა მის წინააღმდეგ ცეცხლის გახსნაც კი ვერ მოახერხეს.

პრესის გამოქაჩილი ვერმანიის ახალ იარაღზე

შვეიცის „სვენსკა - დეგებლადე“ სწერს, რომ ბრძოლა ინგლისის გამანადგურებლებისათვის ძალიან ძნელი იქნება ვერმანიის „დინამიტ - მეტეორონი“. სიჩქარე „დინამიტ - მეტეორონი“-ს დიდად აღემატება ვიდრე მოელოდნ „დრე. და მართო ეს ქმნის დიდ ზიანს უღებებს.

ინგლისის გამანადგურებლებს ასეთი მძიმე ამოცანა ჯერ არ ჰქონიათ.

ინგლისი ახალ იარაღზე

ინგლისის სამხედრო კორესპონდენტი, კ. გასტრინგი კვირეულ „პიკეტე - პოსტ“-ში სწერს ახალ, გერმანულ იარაღზე. — ეს ნამდვილი „ჯოჯოხეთური მანქანაა“, მფრინავი ჰაერში. ისინი ფრენის დროს იწვევენ ხმაურობას, რომელიც უფრო გავს მოტოციკლის ხმას. მთელი ინგლისი ლაპარაკობს ამ ახალ იარაღზე.

ყველა დანარჩენი სამხედრო ამბები შეიქმნენ ინგლისი საზოგადოებისათვის მეორე ხარისხოვნად.

ინგლისის პრესის გამოქაჩილი ახალი იარაღის შესახებ

ლისაბონში მოსული ლონდონელი გაზეთები მთლიანად მიძღვნილი არიან ახალ ვერმანულ იარაღისადმი. გაზეთ „ნიუ კრონიკლის“ პირველ გვერდზე მოთავსებული კლიშე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. ის აჩვენებს საზენიტო ცეცხლის ფარდას და ცაში მაძიებელ პროექტორთა გადაჯვარებულ შუქს, რომლის ფონზე გარკვევით მოსჩანს, ცეცხლ ანათებელი ისარი, ეს ახალი სახის მეტეორო. გამოუკლებლივ ლონდონის ყველა გაზეთებში მოთავსებულა ახალ იარაღის ყუმბარების გამოწვეული ზარალის სურათები.

ლისაბონში მოსულ ცნობების მიხედვით, ინგლისის სამხედრო უწყებამ მიიღო მრავალგვარი ზომა ახალ ყუმბარის წინააღმდეგ, მაგრამ დღემდის არც ერთს არ გამოუღია შესაფერი შედეგი.

ღენეალი მონტეგომერი დაინიშნა გადმოსხმულ ჯართა მთავარსარდალად

ინგლისური სააგენტო „ემს-ანუ ტელეგრაფი“ იტყობინება, რომ ბრადლეი, ამერიკულ არმიათა ერთი ჯგუფის მეთაური, დაყენებული იქნა ღენერალ მონტეგომერის სარდალობის ქვეშ, რომელიც ამრიგად ხდება საფრანგეთში მომქმედ ინგლის - ამერიკელ არმიათა მთავარსარდალად. ლონდონის სააგენტო, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დღემდის ორივე ღენერალს ეკავათ თანაბარი თანამდებობა.

